



Tax and Legal Newsletter



ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2020 წლის თებერვალში საქართველოს „საგადასახადო კოდექსში“ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შესულა.

სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

დონორ ორგანიზაციებთან პარტნიორობით რამდენიმეწლიანი მუშაობის შედეგად საქართველოში გრძელდება ინსოლვენციის სამართლის რეფორმირება, რომლის საფუძველს იუსტიციის სამინისტროს მიერ ჯერ კიდევ ორი წლის წინ შემუშავებული „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის პროექტი წარმოადგენს. შესაბამისი პროექტი სახალხო განხილვის მიზნით 6 თებერვალს გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ კანონის ამოქმედების თარიღად პროექტში 2020 წლის 1 ივნისია მითითებული, საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პარლამენტს ჯერ არ წარდგენია.

კანონპროექტით ხდება თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული რეგულაციების შემუშავება, რომლებიც მაქსიმალურად დაუახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს და საუკეთესო პრაქტიკას. კანონპროექტით არამხოლოდ არსებითი საკითხების ახლებურად დარეგულირება ხდება, არამედ ცვლილება შეეხება კანონის სახელწოდებასაც, სადაც აქცენტის გადატანა ხდება გადახდისუუნარობიდან რეაბილიტაციაზე და კრედიტორთა დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად კანონპროექტის მთელი შემდგომი ტექსტიც რეაბილიტაციას განიხილავს უმთავრეს მიზნად

გადახდისუუნარობის წინაშე მდგომი საწარმოებისათვის.

კანონპროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ელემენტი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს ამაჟამად მოქმედი კანონისგან არის ის, რომ უზრუნველყოფის ინსტიტუტის იგნორირება აღარ ხდება და უზრუნველყოფილ კრედიტორებს ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით ექნებათ საკუთარი მოთხოვნების უპირატესი დაკმაყოფილების უფლება. შესაბამისად უზრუნველყოფილი კრედიტორები აღარ ექცევიან კრედიტორთა რიგებში, რომლებმაც უნდა მიიღონ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილება გადახდისუუნარობის მასიდან. დამატებით შემოდის პრეფერენციული მოთხოვნების და პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნების ცნება.

კანონპროექტის მიხედვით ფართოვდება იმ სუბიექტთა წრე, რომელთა მიმართაც შესაძლებელია დაიწყოს რეაბილიტაცია ან გაკოტრება და მათ რიგებს ემატება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული სუბიექტებიც, რომელთა მუდმივი საქმიანობის ადგილიც საქართველოშია. მიუხედავად იმისა, რომ განიხილებოდა ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის შესაძლებლობაც, საბოლოოდ კანონპროექტში ამან ასახვა არ ჰპოვა.

საგულისხმოა, რომ კანონპროექტით შესაძლებელი ხდება გადახდისუუნარობის საქმის ალტერნატიულად გადაწყვეტა, კერძოდ კანონპროექტით გათვალისწინებულია რეგულირებული შეთანხმების არსებობა, რაც კრედიტორებს და მოვალეს გადახდისუუნარობის საქმის სასამართლოდან ნაწილობრივ გამოტანის შესაძლებლობას მისცემს. თუმცა სასამართლოს როლი ამ

შემთხვევაში სრულად არ გამოირიცხება და მას კვლავ დარჩება ზედამხედველობის ფუნქცია.

მეტად მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ინსტიტუტის შემოღება, რითიც ინსოლვენციის პროცესში სპეციალიზებული პირის მონაწილეობას ეყრება საფუძველი. ამრიგად, გადახდისუუნარობის საქმეში გაკოტრების მმართველი, რეაბილიტაციის ზედამხედველი ან/ად რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ სფეროში სპეციალიზებული პირი. თავის მხრივ სპეციალიზაციასთან და ავტორიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების და პროცედურების დადგენა, ისევე როგორც გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის კატეგორიების განსაზღვრა იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციად განისაზღვრება, რითიც გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მიმართ მაღალი სტანდარტები უნდა დადგინდეს. პროექტით გათვალისწინებულია აგრეთვე გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანაზღაურების გამოთვლის პრინციპები და დადგენილია მისი ზედა ზღვარი. ამგვარად, ანაზღაურების განსაზღვრაში სიცხადის შემოტანით, კორუფციის აღმოფხვრის მცდელობა დაისახეს მიზნად კანონპროექტის ავტორებმა.

კანონპროექტში ასახვა ჰპოვა „გადახდისუუნარობის შესახებ“ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისმა ნორმებმაც, მაგალითად იგივე რეგულირებას აქვს ადგილი მოვალე სუბიექტის გაკოტრებასთან დაკავშირებით, როდესაც ამ უკანასკნელს არ აქვს შესაძლებლობა გადაიხადოს საპროცესო ხარჯები. ასევე კანონპროექტში ამჟამად მოქმედი კანონის მსგავსად გვხვდება საცილო ქმედების ცნება (ნაცვლად ზიანის მომტანი ქმედების ცნებისა). ამასთანავე კანონპროექტით ფართოვდება როგორც საცილო ქმედებების ჩამონათვალი, აგრეთვე მასთან დაკავშირებით კრედიტორთა დაცვის პროცედურული მექანიზმები. აქვე უნდა აღინიშნოს ტერმინოლოგიური უზუსტობაც, რაც თან ახლავს კანონპროექტს - საცილო ქმედებებთან დაკავშირებით კანონპროექტით გათვალისწინებულია „შეცილების ხანდაზმულობის ვადა“. იქიდან გამომდინარე,

რომ შეცილების და ხანდაზმულობის ვადები სამართლებრივად ერთმანეთისგან განსხვავებული კატეგორიებია, აუცილებელია ამ ტერმინის დახვეწა.

ცვლილება შეეხება კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობასაც და მისი დარეგულირება ხდება უფრო თანასწორუფლებიანობის საწყისებზე. ადმინისტრაციული ჯარიმები, ასევე საგადასახადო კოდექსის საფუძველზე დარიცხული ჯარიმები და საურავები ექცევა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ქვედა რიგში.

კანონპროექტით იცვლება სახელმწიფო ბაჟის ოდენობაც და მისი დიფერენცირება ხდება ფიზიკური და იურიდიული პირების მიხედვით. დგინდება ბაჟის მინიმალური (500 ლარი) და მაქსიმალური ოდენობები (ფიზიკური პირის შემთხვევაში 5000 ლარი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში 10 000 ლარი) და მისი გამოანგარიშების საფუძველი (სახელმწიფო ბაჟი განისაზღვრება გადახდისუუნარობის მასის 3%-ის ოდენობით).

დამატებით, კანონპროექტი ითვალისწინებს კოლიზიურ-სამართლებრივ რეგულირებას საერთაშორისო გადახდისუუნარობის ელემენტის არსებობის შემთხვევაში, ასევე უცხო სახელმწიფოში მიმდინარე გადახდისუუნარობის ცნობა და აღსრულება წარმოადგენს სიახლეს ქართული გადახდისუუნარობის სამართლისთვის.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, კანონპროექტი არ წარმოადგენს რომელიმე ერთი ქვეყნის შესაბამისი კანონის რეცეფციას, არამედ მასში ასახვა ჰპოვა სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში მოქმედმა პრინციპებმა და საუკეთესო პრაქტიკამ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება წინ გადახდისუუნარობის წინაშე მდგომი საწარმოების საქმიანობის გაუმჯობესებისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების კუთხით.

Contact information

bakertilly
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.